პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 18 (5048)

1974 წ. 26 იანვარი, შაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მსოფლიო პირველობის საგზურები ბაკურიანში განაწილდება

## როცა შეჯიბრებაში კულაკოვა მონაწილეობს

ბაკურიანი. 24 იანვარი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). ეს იყო 20 წლის წინათ. შვეციის ქალაქ ფალუნის მიდამოებში მოთხილამურეთა მსოფლიო ჩემპიონატი ტარდებოდა. სსრ კავშირის სპორტსმენები საერთაშორისო სარბიელზე ახალი გასული იყვნენ, მაგრამ თავიანთი ძალა მაინც აგრძნობინეს ზამთრის სახეობათა აღიარებულ ოსტატებს — სკანდინავიის ქვეყნების მოთხილამურეებს. საბჭოთა კავშირის წარგზავნილებმა ფალუნში ბრწყინვალე გამარჯვება იზეიმეს. ვ. კუზინმა ყველა ფავორიტი დაამარცხა 30 და 50 კმ-ზე რბოლაში და ორი ოქროს მედალი მოიპოვა. წარმატებით იასპარეზა ლ. ბარანოვამაც.

მას შემდეგ დიდი დრო გავიდა, და აი, XXX მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძლობა ისევ ფალუნს ხვდა. საბჭოთა მოთხილამურეებმა 20 წლის მანძილზე დიდებით შემოიარეს ინსბრუკის, კორტინა დ'ამპეცოს, სკვო-ველის, გრენობლის, ლაჰტის, საპოროს და სხვა საქვეყნოდ ცნობილი სათხილამურო ცენტრების თეთრი ბილიკები. მაგრამ ფალუნის წლევანდელ სტარტებს მათთვის სულ სხვა მნიშვნელობა აქვს: საბჭოთა სპორტსმენების მეტოქეები შეეცდებიან 16-24 თებერვალს შვეციის ამ ერთ-ერთ ულამაზეს კუთხეში გამართულ შეჯიბრებაში რევანში აიღონ 20 წლის წინათ აქ ნაწვნევი მარცხისთვის.

საბჭოთა კავშირის მოთხილამურეებსაც აქვთ თავიანთი გეგმები. კუზინისა და ბარანოვას მემკვიდრეებს არ სურთ ჩრდილი მიაყენონ წინამორბედთა დიდ გამარჯვებებს. ამიტომ ისინი ძალასა და ენერგიას არ იშურებენ, რომ მსოფლიო პირველობის სტარტისთვის საუკეთესო სპორტულ ფორმაში იყვნენ და შვეციიდან შინ რაც შეიძლება მეტი მედალი წამოიღონ. სტარტამდე თვეზე ნაკლები დრო დარჩა. ამიტომ ახლა ყოველ შეჯიბრებას, ძალთა ყოველ შემოწმებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

ჩვენ უკვე ვწერდით, რომ მსოფლიო ჩემპიონატის საგზურებს ბაკურიანში გამართულმა შეჯიბრებებმა უნდა გასცეს. და აი, აქ უკვე მოიყარეს თავი სპორტსაზოგადოებათა და უწყებათა ნაკრებმა კოლექტივებმა, რომლებიც ორჭიდსა და რბოლებში გუნდურ ჩათვლაში სსრ კავშირის თასებისთვის იბრძოლებენ. პირად შეჯიბრებაში კი ყველა მონაწილის ოცნება სწორედ ფალუნის საგზური იქნება. ბაკურიანს უკვე ეწვივნენ „ტრუდის", „სპარტაკის", „ლოკომოტივის", „დინამოს", „ზენიტის", „ენბეკის", „უროჟაის", ცსკა-ს და სხვა საზოგადოებათა და უწყებათა სპორტსმენები. საკავშირო თასების გათამაშებამდე 6 დღით ადრე ყველამ ბაკურიანის თასის ტრადიციულ გათამაშებაში სცადა ძალა. ამჯერად შეჯიბრება პირადი იყო.

ქალთა ბრძოლაში ოცდაშვიდი სპორტის ოსტატი და 9 პირველთანრიგოსანი ჩაება.

როცა სტარტზე სპორტის დამსახურებული ოსტატი, მსოფლიო ჩემპიონი გ. კულაკოვა გამოდის, სხვებს, თუნდაც ისეთ ცნობილ ოსტატებს, როგორიც მისი თანაგუნდელები, ასევე სპორტის დამსახურებული ოსტატები ა. ოლიუნინა, ნ. ბალდიჩევა და ლ. მუხაჩოვა, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატები ნ. სელიუნინა („სპარტაკი") და გ. პილიუშჩენკო არიან, გამარჯვების ნაკლები შანსი რჩებათ.

ამჯერადაც ასე იყო. ბაკურიანის თასისთვის ქალები 5 კმ-ზე რბოლაში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. რამდენიმე სპორტსმენს ერთნაირი მაჩვენებელი აღმოაჩნდა. მაგალითად, მუხაჩოვას, დინამოელ სპორტის ოსტატს ვ. ტროპაკს, აგრეთვე, სპორტის ოსტატებს ა. ორლოვას, ლ. მაშკოვცევას და ლ. დორონინას (სამივე — „სპარტაკი") ერთნაირი შედეგები ჰქონდათ, მაგრამ თასი მაინც ფავორიტს დარჩა. კულაკოვამ (19.36) ოლიუნინას 9 წამი მოუგო. III ადგილი სელიუნინას ერგო (19.56).

საქართველოს სპორტსმენთაგან საუკეთესო იყო სპარტაკელი ნ. ბალაშვილი, რომელმაც ორი სპორტის ოსტატი და ექვსი პირველთანრიგოსანი ჩამოიტოვა. საბოლოოდ იგი XXVIII ადგილზე დარჩა — 22 წუთი.

ვაჟები 15 კმ-ზე ასპარეზობდნენ. ბაკურიანის თასი სპარტაკელ საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატს ი. სკობოვს დარჩა — 48.49, მეორე იყო სპორტის ოსტატი გ. ილინი („ტრუდი") — 49.06, მესამე — სპორტის ოსტატი ნ. ემელინი („ბურევესტნიკი") — 49.33.

მასპინძელთაგან ყველაზე კარგი შედეგი (XXXVI ადგილი) ჰქონდა ლ. სოლოიანს — 55.44.

დღეს აქვე ჩატარდა ორჭიდელთა ასპარეზობა, რომელიც შეიძლება გენერალურ რეპეტიციად მივიჩნიოთ საბჭოთა კავშირის თასის გათამაშების წინ. შეჯიბრება გაიმართა „შრომითი რეზერვების" ცენტრალური საბჭოს პრიზზე.

70-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომის შემდეგ დაწინაურდა ლენინგრადელი სპორტის ოსტატი ვ. კოპაევი („ლოკომოტივი"), რომელიც 75 და 74,5 მეტრზე გადახტა. ამ შედეგისთვის მან „დინამოს" სპეციალური პრიზი დაიმსახურა. 15 კმ-ზე რბოლაში კოპაევის შედეგი (53,20) საუკეთესო როდი იყო, მაგრამ ორჭიდის ჯამში ყველას მაინც ამ სპორტსმენმა აჯობა — 422,4 ქულა.

II ადგილი დაიკავა ტალინის დინამოელმა ტ. სალიანდიმ — 412,2, III — ი. ხროპოვმა (ლენინგრადი, „შრომითი რეზერვები") — 409,9. ხროპოვმა მიიღო „სპარტაკის" სპეციალური პრიზი რბოლაში საუკეთესო მაჩვენებლისთვის — 51.12.

ახლა მორბენლები და ორჭიდელები 28 იანვრამდე დაისვენებენ, მერე კი საკავშირო თასების გათამაშებაში ჩაებმებიან.

ქალები იასპარეზებენ 5 და 10, ხოლო ვაჟები — 15 და 50 კმ-ზე.

ხვალ კოხტაგორაზე სტარტს აიღებს სამთომოთხილამურეთა საკავშირო თასის გათამაშება — ასპარეზობა „ლელოს" პრიზისთვის.

ო. გელაშვილი.



## ძმების წარმატება

მესტიაში დამთავრდა მესამე რაიონული სპარტაკიადა, რომლის პროგრამაშიც შედიოდა სათხილამურო რბოლები, 40-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომა და სამთოსათხილამურო სახეობები. კარგად გამოვიდნენ მესტიის 1-ელი საშუალო სკოლის მოსწავლეები, ძმები თამაზ და თემურ ჯაფარიძეები. გიგანტურ სლალომში გაიმარჯვა თამაზმა, ხოლო სპეციალურ სლალომში — თემურმა.

სურათზე: (მარცხნიდან) თამაზ და თემურ ჯაფარიძეები.

გ. ჯაფარიძის ტექსტი და ფოტო.

## 4.500 კილომეტრი!

აღმოსავლეთ ყაზახეთის ფიზკულტურელებმა უკვე ბევრი სასახელო ფურცელი ჩაწერეს მშდ კომპლექსის ისტორიაში. 74 ათასმა კომკავშირელმა, ახალგაზრდა მუშამ, სტუდენტმა და მოსწავლემ ახალი კომპლექსის ყველა ნორმატივი ჩააბარა. მათგან თითქმის 10 ათასს გადაეცა უმაღლესი ფიზკულტურული ჯილდო — ოქროს სამკერდე ნიშანი. ეს ყოველივე ნათქვამია პატაკში, რომელიც მოსკოვში საკავშირო ალკკ ცენტრალურ კომიტეტს უნდა წარუდგინოს ხუთმა უსტ-კამენოგორსკელმა სპორტსმენმა.

ეს ახალგაზრდები საბჭოთა ქვეყნის დედაქალაქისკენ ჩვეულებრივი გზით როდი მიდიან. სპარტაკელმა სპორტსმენებმა: ვ. დიდენკომ, ი. ეგოროვმა, გ. ზახარჩენკომ, ვ. ზინიუკოვმა, მ. სულეიმანოვმა გადაწყვიტეს მოაწყონ სათხილამურო ზემარათონული გადასვლა უსტ-კამენოგორსკიდან მოსკოვამდე. გადასვლის მონაწილეებმა 4500 კილომეტრი უნდა გაიარონ, მაგრამ მათი მთავარი მიზანი მარტო სპორტული რეკორდის დამყარება როდია. როგორც გადარბენის კომისარი, ლენინოგორსკის გეოლოგიურ-სადაზვერვო სამმართველოს მუშაკი, კომუნისტი ი. ეგოროვი ამბობს, ამ ლონისძიების დროს დიდი ყურადღება დაეთმობა მშდ კომპლექსის პროპაგანდასაც.




* * *

სურათზე: მარცხნიდან — ვ. დიდენკო, ი. ეგოროვი, გ. ზახარჩენკო, ვ. ზინიუკოვი, მ. სულეიმანოვი.

## ორი სენსაცია

მოსკოვსა და სოჭში გრძელდება კალათბურთელ ქალთა საკავშირო ჩემპიონატის მეორე წრის მატჩები.

გთავაზობთ 23 და 24 იანვარს ჩატარებულ შეხვედრათა შედეგებს.

მოსკოვი. „სპარტაკი" (ლენინგრადი) — „დინამო" (მოსკოვი) 57:54, „ურალმაში" (სვერდლოვსკი) — „სერპ ი მოლოტი" (მოსკოვი) 82:58, „კიბირკშტისი" (ვილნიუსი) — „ბურევესტნიკი" (ალმა-ათა) 70:64, „დინამო" — „კიბირკშტისი" 77:58, „ბურევესტნიკი" — „სერპ ი მოლოტი" 67:64, „ურალმაში" — „სპარტაკი" 56:51.

ესეც მოსკოვის ტურის პირველი სენსაცია: დამარცხდა გათამაშების ერთპიროვნული ლიდერი, ლენინგრადის „სპარტაკი".

სოჭი. ტტტ (რიგა) — „სტროიტელი" (ფრუნზე) 95:56, „სპარტაკი" (მოსკოვის ოლქი) — „ბურევესტნიკი" (ლენინგრადი) 73:62, „დინამო" (კიევი) — „სპარტაკი". (მოსკოვი) 58:52, „დინამო" — „ბურევესტნიკი" 74:64, „სტროიტელი" — „სპარტაკი" (მოსკოვი) 64:57, ტტტ — „სპარტაკი" (მოსკოვის ოლქი) 71:38.

სენსაცია მოხდა სოჭშიც: ტტტ-მ დაამარცხა გათამაშების ერთ-ერთი ლიდერი, მოსკოვის ოლქის „სპარტაკი", მაგრამ ამ სენსაციას ობიექტური ახსნა აქვს. საქმე ისაა, რომ რიგელთა კოლექტივში ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ მწყობრში ჩადგა უ. სემიონოვა, რომელმაც თავის გუნდს 22 ქულა შესძინა.

## პირველი გამარჯვება

რიო-დე-ჟანეირო, 24 იანვარი. სსრ კავშირის კალათბურთელ ვაჟთა ნაკრებმა დღეს პირველი გამარჯვება იზეიმა. „მარაკანაზინიუს" დარბაზში მან დაამარცხა ბრაზილიის ეროვნული გუნდი ანგარიშით 65:64.

პირველი ტაიმი საბჭოთა კალათბურთელებმა მოიგეს — 30:26. შესვენების შემდეგაც ინიციატივას სტუმრები ფლობდნენ, მაგრამ მსაჯებმა ყველაფერი იღონეს, რათა „გაეთანაბრებინათ თამაში". არბიტრების მიკერძოებულობა იმდენად აშკარა იყო, რომ ბრაზილიის კალათბურთის კონფედერაციის თავმჯდომარე იძულებული გახდა ბრძოლა შეეწყვიტა და შენიშვნა მიეცა მსაჯებისთვის...

როგორც მუდამ, თავი გამოიჩინა ს. ბელოვმა. მან თავის კოლექტივს 32 ქულა შესძინა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფიზკულტურასა და სპორტში ახალი წარმატებებით ვუპასუხოთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვას პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი!

## მოწინავეთა შორის მოწინავენი



თბილისის ლენინის სახელობის ელმავალმშენებელ ქარხანაში პირველი ამ საწარმოს ერთ-ერთი ფიზკულტურის მეთოდისტი შ. ხოსიტური შეგვხვდა. როცა ჩვენი სტუმრობის მიზანი გავაცანით, მეთოდისტი სიამოვნებით დაგვთანხმდა მეგზურობაზე და მოწინავე, მე-12 საამქროსკენ გაგვიძღვა.

კომუნისტური შრომის საამქროში ჩვენი შესვლა ვერავინ შენიშნა, დაზგებისა და ჩარხების გუგუნში ყველა თავისი საქმით იყო გართული. მომეჩვენა, რომ საამქროში რაღაც საზეიმო განწყობილება სუფევდა.

— სასიხარულო მართლაც გვაქვს, — გვითხრეს საამქროს უფროსმა ნ. გიკაშვილმა და მისმა მოადგილემ ა. ფრანგიშვილმა. — შარშან ჩვენმა მუშა-მოსამსახურეებმა პროდუქციის რეალიზაციის გეგმა 101,6 პროცენტით შევასრულეთ, ხოლო სასაქონლო პროდუქციის გამოშვებისა — 102,7 პროცენტით. გეგმის გადაჭარბებით დამზადებულია 786 ათასი მანეთის პროდუქცია. მოწინავეთა შორის ყველაზე მოწინავე ჩვენი საამქრო აღმოჩნდა. სწორედ დღეს მივიღეთ ქარხნის გარდამავალი წითელი დროშა, რომელიც აქამდე ათჯერ გვქონდა მოპოვებული. ამ წარმატების უპირველესი საწინდარი, საქმის სიყვარულის გარდა, ფიზკულტურა და სპორტიცაა.

საამქროს ფიზკულტურელებს ხელმძღვანელად მოწინავე ელექტროზეინკალი გენადი სობოლევი აურჩევიათ და ისიც თავს არ ირცხვენს.

ამ ქარხანაში გაკეთებულ ელმავლებს დიდად ემადლიერებიან მთელ საბჭოთა კავშირში, ბულგარეთში, ინდოეთში, პაკისტანში, რუმინეთში...

ელმავალმშენებლები ერთ-ერთი პირველნი გამოეხმაურნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვას პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი. ამ მიმართვის საპასუხოდ ქარხანამ 1974 წლისთვის დამატებითი სოციალისტური ვალდებულებები აიღო. მაგალითად, ვალდებულებებში შედის კოქსმქრობი ელმავლის — EK-14-ის ათვისება სერიული წარმოებისთვის და საექსპორტოდ მომზადება 1975 წლისთვის, 100 ათასი მანეთის ეკონომია ახალი ტექნოლოგიის დანერგვით; პროდუქციის ხარისხის 5 პროცენტით გაზრდა წარმოების ტექნიკური დონის ამაღლების გზით, შრომისნაყოფიერების 0,5 პროცენტით გაზრდა და სხვ.

ამ ვალდებულებათა შესრულებაში დიდი როლი ეკისრებათ მოწინავე ფიზკულტურელებსაც, რომლებიც შრომაშიც არავის უდებენ ტოლს. ესენი არიან: სპორტის ოსტატი მ. გაბარაევი (1-ლი საამქრო), პირველთანრიგოსნები კ. აკოფოვი და გ. ჭამელაშვილი (ორივე — მე-6 საამქრო), ა. მეფარიშვილი (1-ლი საამქრო), ქ. თავართქილაძე (მე-5 საამქრო), ა. ტოპილსკი (მე-9 საამქრო), თ. აბესაძე, ი. ტეფნაძე (ორივე — მე-12 საამქრო), ლ. ტურკოვა (მე-18 საამქრო), თ. სკვორცოვა (21-ე საამქრო), ს. მკრტიჩიანი (მთავარი ტექნოლოგიური განყოფილება) და სხვ. ისინი გეგმას მუდამ გადაჭარბებით ასრულებენ.

ჩვენი მეგზური ფიზკულტურელთა შტაბისკენ წაგვიძღვა, რომელიც 1788 კაცს აერთიანებს.

შტაბში ქარხნის ფიზკულტურის კოლექტივის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ა. მარანჯევი დაგვხვდა. მან გვიჩვენა სხვადასხვა შეჯიბრებაში ამ საწარმოს ფიზკულტურელთა მიერ მოპოვებული თასები, ვიმპელები, დიპლომები, სიგელები...

შარშან ელმავალმშენებლებმა დიდი გადაჭარბებით შეასრულეს მზდ კომპლექსის ნიშნოსანთა და თანრიგოსანთა მომზადების გეგმები. ელექტროსადგურებისა და ელექტროტექნიკური მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირების სპარტაკიადაში მათ III ადგილი მოიპოვეს კომპლექსურ ჩათვლაში. ამ წარმატებებში ყველაზე მეტი დამსახურება მიუძღვით ფრენბურთელ ქალებსა და ქართული ჭიდაობის ოსტატებს, რომლებმაც I ადგილი დაიკავეს.

— წარმატებები შრომასა და სპორტში კიდევ უფრო მნიშვნელოვანი იქნებოდა, ყველა ერთნაირი პასუხისმგებლობით რომ ეკიდებოდეს საქმეს. მაგალითად, მე-8 საამქროს უფროსი ა. მამადაშვილი ფიქრობს, რომ საწარმოო ტანვარჯიში ხელს უშლის... გეგმების შესრულებაში, — გვითხრეს ფიზკულტურის მეთოდისტებმა.

...სამუშაო დღე იწურებოდა. ქარხნის მუშა-მოსამსახურეებმა ახლა სპორტულ ბაზებს მიაშურეს. იქვე, შტაბის გვერდით მდებარე აუზში ცურვის სექციის წევრებმა დაიწყეს ვარჯიში...

იმედია, რომ ელმავალმშენებლები, რომელთაც ა. ბუაძე ხელმძღვანელობს, არც მომავალში შეირცხვენენ თავს.

ა. გურასაშვილი.



• • •

სურათებზე: მე-12 საამქროს მოწინავე ფიზკულტურელები შრომაშიც არავის უდებენ ტოლს. ზემოთ — ელექტრომემონტაჟე ი. ტეფნაძე მუშაობის დროს; ქვემოთ (მარცხნიდან) — ელექტროზეინკლები თ. აბესაძე და გ. სობოლევი, რომლებიც გეგმას 110-120 პროცენტით ასრულებენ.

ავტორის ფოტოები.

# საქართველოს 10 საუკეთესო

## ცურვა

## 1973 წლის შედეგების მიხედვით

### ვაჟები

თავისუფალი სტილი. 100 მ. ა. ბავინი — 57,7 (56) გაგრა, „განთიადი"; ი. ტიშკინი — 57,7 (56) თბილისი, „დინამო"; ი. ლისეცკი — 58,0 (53) თბილისი, „დინამო"; ა. ვეჩხაიზერი — 58,9 (57) თბილისი, „განთიადი"; ს. მაკაროვი — 59,6 (57) თბილისი, „დინამო"; ა. იორდანიშვილი — 59,8 (55) თბილისი, „შრომითი რეზერვები"; ნ. სტაშევსკი — 1.00,0 (57) თბილისი, „განთიადი"; ვ. სტოგანცევი — 1.00,2 (57) ბათუმი, „განთიადი"; გ. გოდერძიშვილი — 1.00,4 (56) თბილისი, „განთიადი"; ი. ბრიზგალოვი — 1.00,5 (56) თბილისი „დინამო".

საშუალო შედეგი: 1972 წ. — 59,8, 1973 წ. — 59,3.

200 მ. ი. ლისეცკი — 2.03,9; ა. იორდანიშვილი — 2.06,9; ს. მაკაროვი — 2.07,7; ა. ბავინი — 2.07,9; ა. ვეჩხაიზერი — 2.08,6; ვ. სტოგანცევი — 2.11,9; ვ. კოველსკი — 2.12,3 (59) თბილისი, „დინამო"; გ. მთვრალაშვილი — 2.12,5 (59) თბილისი, „დინამო"; გ. გოდერძიშვილი — 2.13,7; ვ. დოლიძე — 2.13,7.

საშუალო შედეგი: 1972 წ. — 2.09,6, 1973 წ. — 2.09,9.

400 მ. ი. ლისეცკი — 4.16,5; გ. გოდერძიშვილი — 4.24,1; ს. მაკაროვი — 4.26,0; ა. იორდანიშვილი — 4.27,1; ა. ბავინი—4.31,9; გ. მთვრალაშვილი — 4.36,0; ვ. სტოგანცევი — 4.36,4; ი. მესხიშვილი — 4.36,5 (57) თბილისი, „განთიადი"; გ. ზაზიაშვილი — 4.39,9 (59) თბილისი, „შრომითი რეზერვები"; ვ. დოლიძე — 4.41,4.

საშუალო შედეგი: 1972 წ. — 4.35,3, 1973 წ. — 4.31,6.

1500 მ. ი. ლისეცკი — 16.48,9; გ. გოდერძიშვილი — 17,26,9; ა. იორდანიშვილი — 17.34,9; ს. მაკაროვი — 17.35,8; გ. მთვრალაშვილი — 18.10,3; ი. კუშელიოვი — 18.30,0 (59) თბილისი, „ლოკომოტივი", გ. ზაზიაშვილი — 18.31,8; ი. მესხიშვილი — 18.37,3; ა. რეზნიკოვი — 18.38,5 (59) თბილისი, „განთიადი"; ვ. კოველსკი — 18.42,0.

საშუალო შედეგი: 1972 წ. — 18.15,1, 1973 წ. — 18.03,6.

ბრასი. 100 მ. დ. სირაძე — 1.11,6 (55) თბილისი, „დინამო"; ა. იევლევი — 1.11,6 (54) თბილისი, „დინამო"; ს. ნედელკო—1.12,7 (59) თბილისი, „განთიადი"; დ. ელიზბარაშვილი — 1.12,9 (58) თბილისი, „დინამო"; ვ. ლუგინი — 1.13,2 (58) თბილისი, „დინამო"; ა. სეროვი — 1.14,4 (57) თბილისი, „დინამო"; ი. ლევკეიშვილი — 1.14,4 (59) თბილისი, „განთიადი"; თ. ბახუტაშვილი — 1.15,2 (57) თბილისი, „დინამო"; ი. ბეროძე — 1.16,3 (56) ქუთაისი, „ლოკომოტივი"; ტ. ვართაპეტიანი — 1.18,4 (57) თბილისი, „დინამო".

საშუალო შედეგი: 1972 წ. — 1.14,9, 1973 წ. — 1.14,0.

200 მ. ს. ნედელკო — 2.38,5; დ. ელიზბარაშვილი — 2.39,0; ვ. ლუგინი — 2.39,3; ა. იევლევი — 2.40,3; დ. სირაძე — 2.40,3; ი. ბეროძე — 2.41,3; ი. ლევკეიშვილი — 2.41,7; თ. ბახუტაშვილი — 2.43,2; შ. ბრეუსი — 2.45,3 (57) ბათუმი, „განთიადი"; ტ. ვართაპეტიანი — 2.45,5; ა. სეროვი — 2.45,5.

საშუალო შედეგი: 1972 წ. — 2.41,7, 1973 წ. — 2.41,5.

ბატერფლაი. 100 მ. ი. ტიშკინი — 1.01,9; გ. გოდერძიშვილი — 1.03,4; ვ. სტოგანცევი — 1.03,8; ნ. ბაშარული — 1.04,3 (57) თბილისი, „დინამო"; ი. მესხიშვილი — 1.04,4; ა. რეზნიკოვი — 1.04,9; ა. იორდანიშვილი — 1.06,2; ი. ლისეცკი — 1.06,5; დ. სირაძე — 1.06,7; ს. პიატინინი—1.07,4 (57) ბათუმი, „დინამო".

საშუალო შედეგი: 1972 წ. — 1.06,5, 1973 წ. — 1.04,9.

200 მ. გ. გოდერძიშვილი—2.16,3; ი. მესხიშვილი — 2.20,9; ნ. ბაშარული — 2.22,2; ვ. სტოგანცევი — 2.22,7; ი. ტიშკინი — 2.26,3; ა. რეზნიკოვი — 2.27,9; ს. პიატინინი — 2.28,3; ი. ლისეცკი — 2.29,2; ა. იორდანიშვილი — 2.31,7; ვ. ბურმისტროვი — 2.32,0 (59) ბათუმი, „განთიადი".

საშუალო შედეგი: 1972 წ. — 2.29,9, 1973 წ. — 2.25,7.

ზურგზე. 100 მ. თ. ხუბულაშვილი — 1.04,7 (55) თბილისი, „დინამო"; ნ. ბაშარული — 1.05,6; ა. ვეჩხაიზერი — 1.05,9; ვ. სტოგანცევი — 1.07,7; ი. ომელჩენკო — 1.09,7 (60) ბათუმი, „განთიადი"; ა. თევზაძე — 1.09,8 (59) თბილისი, განათლების განყოფილება; ს. ქობულოვი — 1.11,2 (56) თბილისი, განათლების განყოფილება; ი. მესხიშვილი — 1.11,3; ვ. საი — 1.11,4 (59) თბილისი, „დინამო"; ა. ველიჩკო—1.12,3 (58) თბილისი, „დინამო".

საშუალო შედეგი: 1972 წ. — 1.07,6, 1973 წ. — 1.08,8.

200 მ. ნ. ბაშარული — 2.18,2; თ. ხუბულაშვილი — 2.25,8; ა. ვეჩხაიზერი — 2.26,3; ვ. საი — 2.28,5; ა. თევზაძე — 2.29,0; ი. ომელჩენკო — 2.31,0; ვ. მაკაროვი — 2.34,4 (59) თბილისი, „დინამო"; ს. ქობულოვი — 2.35,2; ი. ნახუცრიშვილი— 2.36,1 (59) თბილისი, „დინამო"; ვ. ზუდნიკოვი — 2.36,4 (57) ბათუმი, „განთიადი".

საშუალო შედეგი: 1972 წ. — 2.25,3, 1973 წ. — 2.30,1.

კომპლექსური. 200 მ. ვ. სტოგანცევი — 2.20,4; გ. გოდერძიშვილი — 2.24,6; ნ. ბაშარული — 2.25,2; ს. მაკაროვი — 2.25,9; ა. რეზნიკოვი— 2.28,4; ი. ბრიზგალოვი — 2.28,7; ა. ვეჩხაიზერი — 2.30,0; ა. იაცენკო — 2.30,0 (59) ბიჭვინთა, „განთიადი"; დ. გრიგორი — 2.30,3 (57) თბილისი, „დინამო"; ტ. ვართაპეტიანი — 2.30,6.

საშუალო შედეგი: 1972 წ. — 2.28,6, 1973 წ. — 2.27,4.

400 მ. ვ. სტოგანცევი — 4.57,3; გ. გოდერძიშვილი — 4.59,9; ს. მაკაროვი — 5.07,9; ა. იორდანიშვილი— 5.11,0; ი. ლისეცკი — 5.11,5; ა. რეზნიკოვი — 5.12,3; დ. გრიგორი — 5.14,8; ე. ბურმისტროვი — 5.16,4; ნ. ბაშარული — 5.20,5; ი. ბრიზგალოვი — 5.23,7.

საშუალო შედეგი: 1972 წ. — 5.17,2, 1973 წ. — 5.11,5.

დასასრული. იხ. „ლელო" № 17.

## „ლელო" პასუხობს...

კითხვა: მაქვს საშუალო ფიზკულტურული განათლება. 16 წელია ვმუშაობ პროფკავშირების წყალტუბოს საკურორტო პოლიკლინიკების გაერთიანებაში სამკურნალო ფიზკულტურის მეთოდისტად.

გთხოვთ მიპასუხოთ, რამდენად სწორადაა განსაზღვრული ჩემი ხელფასი — 72 მანეთი თვეში?

ჟ. ფანცხავა.

პასუხი: ვინაიდან სამკურნალო დაწესებულებაში მუშაობთ, ხელფასი გერგებათ ისევე, როგორც საშუალო-სპეციალური განათლების მქონე მედიცინის მუშაკებს. ამ მუშაკთა ძირითადი ხელფასი, თუ 10 წელზე მეტი მუშაობის სტაჟი აქვთ, 72 მანეთია.

ზემდგომი ორგანოების დადგენილების საფუძველზე, საშუალო-სამედიცინო პერსონალს, გარდა ამისა, უნდა დაემატოს ძირითადი ხელფასის 15 პროცენტი. ესე იგი, თქვენი ხელფასი უნდა იყოს 72 მანეთი და კიდევ ამ თანხის 15 პროცენტი.

კითხვა: დავამთავრე ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლა, მაქვს 8 წლის პრაქტიკული მუშაობის სტაჟი. გავიარე საწარმოო ტანვარჯიშის მეთოდისტის კურსები. გთხოვთ განმიმარტოთ, სწორადაა თუ არა განსაზღვრული ჩემი ხელფასი — 60 მანეთი თვეში?

ვ. ღვალაძე,

ლაგოდეხის რაიონის სოფელ ლელიანის ენგელსის სახელობის კოლმეურნეობის ფიზკულტურის ინსტრუქტორ-მეთოდისტი.

პასუხი: თქვენ უფლება გაქვთ მოითხოვოთ ხელფასის მომატება და აი რატომ: ზემდგომი ორგანოების დადგენილების საფუძველზე სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციათა კავშირს მიღებული აქვს გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც ფიზკულტურის ინსტრუქტორ-მეთოდისტმა, რომელიც კოლექტივში ამ შტატში ირიცხება და სპეციალური განათლება არა აქვს, 3 წლამდე სამუშაო სტაჟის მიხედვით უნდა მიიღოს თვეში 80 მანეთი, 3-დან 10 წლამდე — 85 მანეთი, 10 წელზე ზევით — 90 მანეთი. იმას, რომ საწარმოო ტანვარჯიშის მეთოდისტის კურსები გაქვთ გავლილი, ამ შემთხვევაში ხელფასის განსაზღვრისთვის მნიშვნელობა არ ენიჭება.

კითხვა: გატაცებული ვარ ფეხბურთით. ვთამაშობ სოფლის გუნდში მეკარედ. გთხოვთ მითხრათ, სად შეიძლება აიმაღლოს ოსტატობა ჩემი ასაკის ახალგაზრდამ და ვის მივმართო ამ საქმეში დახმარებისთვის?

ბ. ბალახაძე,

გურჯაანის რაიონის სოფელ მაზარაძის საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლე.

პასუხი: თქვენი ფიზიკური და სპეციალური მონაცემები პრაქტიკულად უნდა შეამოწმოს მწვრთნელმა. ამ საკითხში რჩევა შეგიძლიათ მიიღოთ, აგრეთვე, თქვენივე სკოლის ფიზაღზრდის მასწავლებლებისგან. სპეციალისტები თავად განსაზღვრავენ, საჭირო და შესაძლებელია თუ არა თქვენი შემდგომი დაოსტატება და ამისთვის კონკრეტულ ადგილსაც მიგითითებენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის ღია წერილი ფიფა-ს და ფიფა-ში შემავალ ფეხბურთის ეროვნულ ფედერაციებს

ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტმა ფინალური ტურნირის მონაწილეთა რიცხვიდან გარიცხა საბჭოთა ნაკრები იმის გამო, რომ მან უარი განაცხადა ეთამაშა მეორე შესარჩევი მატჩი ჩილის გუნდთან სანტ-იაგოს სტადიონზე, რომელიც, ეს მთელმა მსოფლიომ იცის, ჩილის სამხედრო ხუნტამ აქცია საკონცენტრაციო ბანაკად ჩილიელ პატრიოტთათვის, წამებისა და დასჯის ადგილად — ჩილიელ მოქალაქეთათვის. ამ გადაწყვეტილებამ ყველა კეთილი ნების ადამიანის, ფეხბურთის მილიონობით მოყვარულის, მრავალრიცხოვან ეროვნულ საფეხბურთო ფედერაციათა სამართლიანი პროტესტი და აღშფოთება გამოიწვია. მით უფრო ძნელია გაიგო, რა ფაქტორების ზეგავლენით მიიღო ასეთი გადაწყვეტილება ფიფა-ს ზოგიერთმა ხელმძღვანელმა საღი აზროვნებისა და საერთოდ მიღებული სპორტის ჰუმანური პრინციპების საწინააღმდეგოდ. ნუთუ მხოლოდ იმიტომ, რომ დაემსახურებინა შემწყალებლური მადლობა... ჩილიელი ხალხის ჯალათებისგან?

წინააღმდეგობანი, დაბნეულობა, მოსაზრებათა არადამაჯერებლობა დამახასიათებელია ფიფა-ს იმ მოღვაწეთათვის, რომლებიც ხმას აძლევდნენ სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდის გარიცხვას მსოფლიო ჩემპიონატის გათამაშებიდან. მაგალითად, ფიფას პრეზიდენტმა ს. როუზმა ბრალი დასდო ფეხბურთის ფედერაციას იმაში, რომ პირველი მატჩი უკვე შედგა. შევნიშნავთ, რომ ოუზმა კარგად იცოდა, რომ პირველი შესარჩევი მატჩი დანიშნული იყო ჯერ კიდევ ჩილიში სამხედრო გადატრიალებამდე, რომ კანონიერი ხელისუფლების დამხობის შემდეგ 2 კვირის მანძილზე ჩილის ფაქტიურად შეწყვეტილი ჰქონდა კავშირი დანარჩენ სამყაროსთან.

მსოფლიომ ჯერ კიდევ არ იცოდა, თუ როგორ ჰქონდათ გადაწყვეტილი ფაშისტ მეამბოხეებს სანტ-იაგოს ცენტრალური სტადიონის გამოყენება. ჩვენ არ ვაიგივებთ ჩილიელ ფეხბურთელებს მმართველ რეჟიმთან და სწორედ ამიტომ შედგა პირველი შეხვედრა მოსკოვში. მადლობის გარდა, ჩილის გუნდს არავითარი საკითხი ამ მატჩის გამო არ წამოუჭრია. პრეტენზიები არც ფიფა-ს მსაჯებს ჰქონდათ, არც უცხოელ ფეხბურთელებს. რა შუაშია აქ პირველი მატჩი, ბ-ნო როუზ?

შემდეგ, როგორც ცნობილია, შეიქმნა ფიფა-ს „კომისია", რომელსაც უნდა შეეფასებინა სანტ-იაგოს სტადიონზე მატჩის ჩატარების შესაძლებლობანი. დავიწყებთ იმით, რომ ეს კომისია იურიდიულად არ იყო უფლებამოსილი: როგორც ცნობილია, იგი შედგებოდა ორი ადამიანისგან — ფიფა-ს გენერალურ მდივან გ. კაიზერისა და ბრაზილიის ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენელ ა. ალმეიდასგან. ყველა ნაკითხმა ადამიანმა იცის, რომ ყოველგვარი კომისიის წევრთა მინიმალური რაოდენობა სამზე ნაკლები არ უნდა იყოს, რათა გამოიმუშაოს ობიექტური შეხედულება — უმეტესობისა და უმცირესობის შეხედულება. ეს არ გაკეთდა. ამას გარდა, კომისიაში არ იყო ევროპული ფეხბურთის (უეფა) წარგზავნილი, რომელიც ეროვნული გუნდის ინტერესებს დაიცავდა.

ყველამ იცის, რომ კომისიის მოხსენება ამახინჯებს ფართოდ ცნობილ ფაქტებს. ასე მაგალითად, ფიფა-ს წარმომადგენელმა რ. კურტემ განაცხადა, რომ მატჩი სხვა ქვეყანაში უნდა გადაეტანათ, თუ კი კომისია სანტ-იაგოს სტადიონზე აღმოაჩენდა თუნდაც ერთ პატიმარს. ბ. კაიზერი და ა. ალმეიდა იძულებული იყვნენ მოხსენებაში ეღიარებინათ, რომ „სტადიონზე იყვნენ დაკავებული პირები". ამას შეიძლება დაემატოს ისიც, რომ კომისიის იქ ყოფნისას, 1973 წლის 24 ოქტომბერს, „ესტადიო ნასიონალზე" 1900 პატიმარი ჰყავდათ. ამის შესახებ განაცხადა თვით ხუნტის შინაგან საქმეთა მინისტრმა ო. ბონილიამაც. განა შეიძლება ამის შემდეგ სერიოზულად მივიღოთ კომისიის მოხსენება? თანაც, მასში არაა მოყვანილი დამოწმებანი ჩილის პასუხისმგებელ სპორტულ მოღვაწეებთან საუბრებისა, არაა მოყვანილი მათი გარანტიები. სამაგიეროდ, ეს მოხსენება უხვადაა შეზავებული ჩილიელი ხალხის მოსისხლე ჯალათების, სამხედრო ხუნტის წარმომადგენელთა დაპირებებით.

მიიღო რა მხედველობაში მრავალრიცხოვანი ფაქტები, დამსწრეთა და ტერორის მსხვერპლთა, „ესტადიო ნასიონალის" წამებულთა ჩვენებანი, ეროვნულ საფეხბურთო ფედერაციათა დიდი რიცხვის მხარდაჭერა, საბჭოთა ფეხბურთის ფედერაციამ წინადადება შეიტანა განხილულიყო საკითხი მატჩის ნეიტრალურ მინდორზე გადატანის შესახებ. ეს მოთხოვნა სავსებით შეესაბამებოდა მსოფლიო ჩემპიონატის დებულების მე-6 პუნქტს „საგანგებო მდგომარეობასთან" დაკავშირებით. ახლა ცნობილია, რომ ეს სამართლიანი მოთხოვნა უარყო ფიფა-ს ხელმძღვანელობამ და, პირველ ყოვლისა, უშუალოდ ს. როუზმა, რომელმაც ფიფა-ს საგანგებო კონგრესის ან აღმასკომის საგანგებო სხდომის მოწვევის ნაცვლად მიმართა შექმნილ ვითარებაში აღმასკომის წევრთა აშკარად ტენდენციურ დაუსწრებელ გამოკითხვას, რათა არ ეღიარებინა ჩილიში არსებული „საგანგებო მდგომარეობა".

როგორც გამოირკვა, ს. როუზმა, ზემოაღნიშნულის გარდა, საჭიროდ არ მიიჩნია საგანგებო ვითარებად ჩაეთვალა ჩილიში მყოფ საბჭოთა მოქალაქეთა მიმართ ძალადობა, საბჭოთა წარმომადგენლობათა დარბევა სანტ-იაგოში, ფიზიკური ანგარიშის გასწორება შვეციის ელჩისთვის, თავდასხმა საფრანგეთის საელჩოს პერსონალზე, კარაბინერის მიერ არგენტინის საელჩოს ტერიტორიაზე სპორტის ეროვნული საბჭოს თანამშრომლის მკვლელობა, უცხოელ მოქალაქეთა აბუჩად აგდების უამრავი ფაქტი, საკომენდანტო საათის შემოღება.

ბატონებმა ს. როუზმა და გ. კაიზერმა მთლიანად გამოავლინეს თავიანთი არათანმიმდევრულობა, ტენდენციურობა, წინასწარგანწყობა და პოლიტიკური ორიენტაცია. უნდა გავიხსენოთ, რომ ჯერ კიდევ კარგა ხნით ადრე სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის ოფიციალურ წინადადებამდე თამაშის ნეიტრალურ მინდორზე გადატანის შესახებ ს. როუზმა პირობა მოგვცა, რომ სსრ კავშირისა და ჩილის გუნდების მეორე შესარჩევი მატჩი შეიძლებოდა მიუნჰენში მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური ტურნირის გახსნის წინ ჩატარებულიყო. შემდეგ ს. როუზმა „რატომღაც" შეცვალა თავისი შეხედულება, გამოიყენა საორგანიზაციო კომიტეტის წევრებზე უხეში ზემოქმედების სისტემა. თაფლსაიანი სიტყვებით, რომ იგი დგას პრინციპის — „სპორტი პოლიტიკის გარეშე" — სადარაჯოზე ს. როუზმა ფიფა ფაქტიურად ჩააბა ბინძურ თამაშში ფაშისტურ ხუნტასთან, რისთვისაც საბოლოოდ განკიცხული იქნება მსოფლიოს საზოგადოებრივი აზრის მიერ.

ყოველივე ეს მოწმობს, რომ ფიფა-ს ზოგიერთმა ხელმძღვანელმა შელახა საკუთარი ღირსება საზოგადოებრიობის თვალში, უხეშად დათრგუნა მაღალი ჰუმანური იდეები, რომლებითაც თავის საქმიანობაში ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაცია უნდა ხელმძღვანელობდეს.

მსოფლიოში ყველაზე პოპულარული სპორტული ფედერაციის სათავეში უნდა იდგნენ საღად მოაზროვნე, პრინციპული და პატიოსანი ადამიანები და არა ისინი, რომლებიც საჭირო შემთხვევებში მაღალფარდოვნად ბჭობენ სპორტის სიწმინდეზე, სინამდვილეში კი სპორტის პოლიტიკას ატარებენ საერთოსაკაცობრიო მორალის გარეშე.

## ფეხბურთი

# ახალი სეზონის კონტურები

ახლოვდება 1974 წლის საფეხბურთო სეზონი. იგი მდიდარი იქნება სხვადასხვა მასშტაბის შეჯიბრებებით. ფეხბურთის მოყვარულებს ბევრი საინტერესო ასპარეზობა ელით. მარტის შუა რიცხვებში დაიწყება სსრ კავშირის თასის გათამაშება, ხოლო აპრილის პირველ რიცხვებში — ჩემპიონატი. უმაღლეს ლიგაში ითამაშებს 16 გუნდი, ხოლო პირველში — 20.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის ფეხბურთის სამმართველოს უფროსმა ლ. ზენჩენკომ განაცხადა, რომ ჯერ კიდევ არაა გადაწყვეტილი, გაგრძელდება თუ არა შარშანდელი ექსპერიმენტი — მატჩების ფრედ დამთავრების შემთხვევაში დამატებითი 11-მეტრიანების დანიშვნა. თუ მატჩის მსვლელობაში მოწინააღმდეგე მხარეებმა შეძლეს ბურთების გატანა, პენალტები საჭირო არ იქნება, მაგრამ, თუ ანგარიში არ გაიხსნა (0:0), ამ შემთხვევაში დამატებითი 11-მეტრიანების დანიშვნის საჭიროებაზე არსებობს სხვადასხვა შეხედულება და ეს საკითხი მოგვიანებით გადაწყდება.

სსრ კავშირის ნაკრები გუნდი ე. გორიანსკისა და ა. პარამონოვის ხელმძღვანელობით იუგოსლავიის ნაკრებს შეხვდება მის მინდორზე აპრილში, ხოლო 20 მაისს შინ მიიღებს ჩეხოსლოვაკიის გუნდს. ამას გარდა, შედგება საერთაშორისო მატჩი უნგრეთის ნაკრებთან ბუდაპეშტში და 28 სექტემბერს მოსკოვში — იტალიელებთან. ივლისის შუა რიცხვებში საბჭოთა ფეხბურთელები მონაწილეობას მიიღებენ პოლონური ფეხბურთის 70 წლისთავისადმი მიძღვნილ საერთაშორისო ტურნირში.

მოეწყობა ამხანაგური საერთაშორისო შეხვედრები. ამას გარდა, საბჭოთა ნაკრებმა 2 ოფიციალური მატჩი უნდა ჩაატაროს ევროპის ჩემპიონატის პროგრამით. ამ მატჩების თარიღები დადგინდება სსრ კავშირის, თურქეთის, ირლანდიისა და შვეიცარიის საფეხბურთო ფედერაციების ურთიერთშეთანხმებით, ვინაიდან ეს გუნდები ერთ ჯგუფში არიან მოხვედრილი.

გაიმართება ევროპის საკლუბო ტურნირებიც. ერევნის „არარატი" ითამაშებს ევროპის ჩემპიონთა თასზე, კიევის „დინამო" — თასების მფლობელთა თასზე, მოსკოვის „დინამო" და „სპარტაკი" — უეფა-ს თასზე. საყურადღებო აქ ისაა, რომ ზემოჩამოთვლილ შეჯიბრებებში მონაწილეობენ პროფესიული კლუბებიც და საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს განზრახული აქვს არ დაუშვას ოლიმპიურ თამაშებში ის ფეხბურთელები, რომლებიც ამ ტურნირებში პროფესიონალებთან ერთად გამოვლენ. თუ ასე მოხდა მონრეალის 1976 წლის ოლიმპიადის ფინალში საგზურებისთვის ბრძოლა საბჭოთა გუნდების სხვა ფეხბურთელებს მოუწევთ.

ახალ სეზონში განზრახულია საბჭოთა კავშირში ჩატარდეს პირველი საერთაშორისო საფეხბურთო ტურნირი, რომელიც ტრადიციული გახდება. ეს ტურნირი დაგეგმილია აგვისტოს მეორე ნახევრისთვის 2 საბჭოთა და 2 უცხოური გუნდის მონაწილეობით.

# პრეტენდენტთა მატჩები

**სპასკი — ბირნი 2:0**

სან-ხუანი (პუერტო-რიკო). ამერიკელი დიდოსტატი რ. ბირნი უქეიფოდ შეიქნა მატჩის V პარტიის წინ და თამაში აღარ შედგა.

**კარპოვი — პოლუგაევსკი 1:0**

მოსკოვი. IV პარტიაში კარპოვმა (თეთრები) უფრო აქტიურად წარმართა შეხვედრა. მან გარკვეული უპირატესობაც მიიღო ზედმეტი პაიკის სახით, მაგრამ შეხვედრა მოიგო მხოლოდ მეორე დღეს, როცა ეს უპირატესობა გადადებულ პარტიაში ზუსტი თამაშით დააგვირგვინა. ახლა კარპოვს ნახევარფინალში გასასვლელად ორი მოგება სჭირდება დარჩენილ 12 შეხვედრაში.

**მეკინგი — კორჩნოი**

ოგასტა (აშშ). ე. მეკინგ — ვ. კორჩნოის მატჩის V პარტიაში უშეღავათო ბრძოლა გაჩაღდა. ფიგურების ორიგინალურად განვითარების შემდეგ ინიციატივას საბჭოთა დიდოსტატი დაეუფლა. პარტიის ბედი ცაიტნოტში გაირკვა. კორჩნოიმ საუცხოოდ ითამაშა და მოგების წინაპირობა შექმნა. ხუთსაათიანი თამაშის შემდეგ პარტია გადაიდო.

**პეტროსიანი — პორტიში**

პალმა-დე-მალიორკა (ესპანეთი). მატჩის III პარტიაში პეტროსიანმა სადებიუტო უპირატესობა ვერ მოიპოვა, ვინაიდან ნაკლებად შესწავლილი ვარიანტი გაითამაშა. პორტიშმა ცენტრში გამხოლოებული პაიკი მიიღო, მაგრამ, სამაგიეროდ, ფიგურებისთვის ვრცელი სამოქმედო ასპარეზი გადაეშალა. რამდენიმე ფიგურის გაცვლის შემდეგ მეტოქეთა შანსები გათანაბრდა და 22-ე სვლაზე შეხვედრა ყაიმით დამთავრდა.

• • •



სურათზე: ლ. პოლუგაევსკი და ა. კარპოვი თამაშის დროს.

ვ. სავოსტიანოვის ფოტო.

# მსოფლიო რეკორდები

## მშვილდოსნობა

1974 წლის 26 იანვრისთვის

| დისტანცია | შედეგი | რეკორდსმენი | დამყარების წელი |
|---|---|---|---|
| (ვარჯიში „8—1") | | | |
| ქალები | | | |
| 30 მ | 340 | ზ. კოვპანი (სსრ კავშირი) | 1973 |
| 50 მ | 305 | ნ. მაირიკი (აშშ) | 1971 |
| 60 მ | 324 | ი. შოშლერი (პოლონეთი) | 1971 |
| 70 მ | 305 | ქ. ხტრესბურგი (აშშ) | 1971 |
| ჯამში | 1229 | ი. შიდლოვსკა (პოლონეთი) | 1071 |
| გუნდური | 3670 | სსრ კავშირის ნაკრები | 1972 |
| ვაჟები | | | |
| 30 მ | 350 | ჯ. უილიამსი (აშშ) | 1972 |
| 50 მ | 322 | ა. იაკობსენი (დანია) | 1971 |
| 70 მ | 322 | გ. ერვილი (შვეცია) | 1972 |
| 90 მ | 295 | ვ. სიდორუკი (სსრ კავშირი) | 1972 |
| ჯამში | 1268 | ჯ. უილიამსი (აშშ) | 1972 |
| გუნდური | 3636 | შვეიცარიის ნაკრები | 1972 |

# მეორე ტირაჟის შედეგები

სპორტული ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა შედეგები „სპორტლოტოს" და „სპორტლოტო-2"-ის მე-2 ტირაჟისა, რომელიც 20 იანვარს მოსკოვში მოეწყო.

„სპორტლოტო": ექვსი ნომერი გამოიცნო ლატარიის ერთმა მონაწილემ, რომელიც 5000 მანეთს მიიღებს. ხუთი ნომრის გამოცნობისთვის მოგება 2672 მანეთია (იღბლიანი აღმოჩნდა 132 ბილეთი), ოთხისთვის — 49 (7821), სამისთვის — 3 (150141).

„სპორტლოტო-2": ექვსი ნომერი ვერავინ გამოიცნო. ხუთი ნომრის გამოცნობისთვის მოგება 2985 მანეთია (30 ბილეთი), ოთხისთვის — 59 (1734), სამისთვის — 3 (34553).

მოგებული თანხა გაიცემა ცენტრალურ შემნახველ სალაროებში 1-დან 28 თებერვლის ჩათვლით.

# ველოსპორტის ყველა განზომილება

იანვრის პირველ რიცხვებში ველოსპორტის საერთაშორისო კავშირმა დაამტკიცა ევროპისა და მსოფლიოს რეკორდების ცხრილი. თუმცა გულახდილად უნდა ვთქვათ, რომ ამისთვის დიდი შრომა არ იყო საჭირო. საქმე ისაა, რომ შარშან არც ვაჟთა და არც ქალთა შორის არც ერთი რეკორდი არ გაუმჯობესებულა. ასე რომ, მიღწევათა დამამტკიცებლებმა ფაქტიურად ძველი რეკორდების სია წაიკითხეს და, ვინაიდან კავშირის არც ერთ წევრს არ ჰქონდა პრეტენზია მათს მიმართ, კენჭისყრაც ყოველგვარი კონფლიქტის გარეშე დამთავრდა.

საერთოდ, რეკორდები ყველაზე ინტენსიურად უმჯობესდება ოლიმპიადის წინა წელს და თვით ოლიმპიურ სეზონში. საკმარისია თვალი გადაავლოთ რეკორდების ცხრილს და დარწმუნდებით, რომ უმაღლესი შედეგების დიდი უმრავლესობა ნაჩვენებია 1967-68, აგრეთვე, 1971-72 წლებში.

მაგრამ არის ერთი უმაღლესი მიღწევა, რომელიც უკვე არსებობს 19 წელს ითვლის. რეკორდი ეკუთვნის საბჭოთა ველოსიპედისტ ქალს რაზუვაევას და, სხვათა შორის, ისიც მელბურნის ოლიმპიადის წინ, 1955 წელსაა დამყარებული. მაშინ რაზუვაევამ 200-მეტრიანი დისტანციის გავლას (სვლით) 12,3 წამი მოანდომა. მას შემდეგ მსოფლიოში ვერც ერთმა ველოსიპედისტმა ვერ აჩვენა უკეთესი შედეგი.

თუ მხედველობაში არ მივიღებთ რაზუვაევას რეკორდს, ევროპისა და მსოფლიოს ყველა სხვა მიღწევა დამყარებულია 1967 წელს და შემდეგ. ერთ-ერთი ასეთი რეკორდია ჩვენი თანამემამულის, მსოფლიოს ექს-ჩემპიონ ო. ფხაკაძის უმაღლესი მიღწევა 200-მეტრიან დისტანციაზე — 10,61. ეს შედეგი დღესაც ევროპისა და მსოფლიოს რეკორდად ითვლება.

ვბეჭდავთ საერთაშორისო კავშირის მიერ დამტკიცებულ ევროპისა და მსოფლიო რეკორდების ცხრილს (აღსანიშნავია, რომ მსოფლიო და ევროპის რეკორდები ერთმანეთს ემთხვევა, ყველა სახეობაში გარდა 1-საათიანი რბოლისა, ამ სახეობაში ევროპისა და მსოფლიო მიღწევებს ცალ-ცალკე გთავაზობთ).

### ვაჟები

**200 მ სვლით, ფხაკაძე (სსრ კავშირი), 10,61 1967 წ.**
**500 მ სვლით, ტრანტენი (საფრანგეთი), 27,85 1967 წ.**
**1 კმ სვლით, ბორგეტი (იტალია), 1.01,14 1967 წ.**
**1 კმ ადგილიდან, ტრანტენი (საფრანგეთი), 1.03,91 1968 წ.**
**4 კმ ადგილიდან, კურმანი (შვეიცარია), 4.40,41 1968 წ.**
**5 კმ ადგილიდან, ფრაი (დანია), 6.01,8 1969 წ.**
**10 კმ ფრაი (დანია), 12.28,8 1969 წ.**
**20 კმ ფრაი (დანია), 25.00,5 1969 წ.**
**100 კმ ლუნდი (დანია), 2:18.43,6 1971 წ.**
**4 კმ გუნდური, გფრ, 4.15.76 1968 წ.**

მსოფლიო რეკორდი 1-საათიან რბოლაში ეკუთვნის კოლუმბიელ როდრიგესს და უდრის 47 კმ-ს და 554 მ-ს (რეკორდი დამყარდა 1970 წ.) ევროპის რეკორდი ეკუთვნის ადლერს (გფრ) — 46 კმ, 847 მ (1970 წ.).

### ქალები

**200 მ სვლით, რაზუვაევა (სსრ კავშირი), 12,3, 1955 წ.**
**500 მ სვლით, კირიჩენკო (სსრ კავშირი), 32,5, 1967 წ.**
**1 კმ სვლით, კირიჩენკო (სსრ კავშირი), 1.12,9, 1967 წ.**
**1 კმ ადგილიდან, კირიჩენკო (სსრ კავშირი), 1.15,1, 1967 წ.**
**3 კმ ადგილიდან, ობოდოვსკაია (სსრ კავშირი), 4.01,7, 1969 წ.**
**5 კმ კრესარი (იტალია), 7.00,03, 1972 წ.**
**10 კმ კრესარი (იტალია), 14.19,9, 1972 წ.**
**20 კმ კრესარი (იტალია), 28.51,4, 1972 წ.**
**1-საათიანი კრესარი (იტალია), 41 კმ, 471 მ, 1972 წ.**

ჩვენი აზრით, ველოსპორტის მოყვარულთათვის ინტერესმოკლებული არ იქნება, თუ ამ სიას შარშანდელ მსოფლიო ჩემპიონთა გვარებსაც დავურთავთ.

**ტრეკი.** მოყვარული ვაჟები. **1 კმ ადგილიდან** — კეჟკოვსკი (პოლონეთი) — 1.07,5; **სპრინტი** — მორელონი (საფრანგეთი); **4 კმ ინდივიდუალური რბოლა** — კნუდსენი (ნორვეგია) — 4.49,53; **4 კმ გუნდური რბოლა** — გფრ-ის ნაკრები; **ტანდემებით რბოლა** — ვაჩკარი და ვიმზალი (ჩეხოსლოვაკია); **50 კმ სალიდერო რბოლა** — ენასი (გფრ). მოყვარული ქალები. **სპრინტი** — იანგი (აშშ); **3 კმ ინდივიდუალური რბოლა** — გარკუშინა (სსრ კავშირი) 4.01,6.

**გზატკეცილი.** მოყვარული ვაჟები. **ჯგუფური რბოლა** — შურკოვსკი (პოლონეთი); **100 კმ გუნდური** — პოლონეთი (ლისი, შურკოვსკი, შოზდა, მატუსიაკი). მოყვარული ქალები. **ჯგუფური რბოლა** — ვან დენ ბრუკი (ბელგია).

**ტრეკი.** პროფესიონალი ვაჟები. **სპრინტი** — ვან ლანკერი (ბელგია); **5 კმ გამოდევნებით** — პორტერი (ინგლისი); **სალიდერო რბოლა** — სტამი (ჰოლანდია).

**გზატკეცილი.** პროფესიონალი ვაჟები. **ჯგუფური რბოლა** — ჯიმონდი (იტალია).

**კროსი.** პროფესიონალი ვაჟები. დე ფლამენკი (ბელგია).

**მსოფლიოს თასი.** პროფესიონალები (მთელი წლის მანძილზე ჩატარებულ საგზატკეცილო შეჯიბრებათა ჯამში) — მერქსი (ბელგია).



## აბუჩად აგდების საზღაური

„მედისონ სკვერ გარდენის“ რინგის იატაკზე მოცელილივით დაეცა მსოფლიო ექს-ჩემპიონი მძიმე წონაში ჯიმი ელისი. შეხვედრა, რომელსაც ხალხით გაჭედილი დარბაზი სულგანაბული ადევნებდა თვალს, მარჯვენა ხელის ძლიერი და ზუსტი დარტყმით პირველ რაუნდშივე დაამთავრა ერნი შეივერსმა.

შეივერსი პროფესიული რინგის ახალი ვარსკვლავია, დღეისთვის მას 45-დან 43 შეხვედრა ნოკაუტით აქვს მოგებული! რაც შეეხება ჯიმ ელისს, იგი 1973 წლის მანძილზე მესამე მოკრივე გახლავთ, რომელსაც ზიანი მოუტანა მოწინაალმდეგის აბუჩად აგდებამ. ელისის „წინამორბედები“ იყვნენ ჯო ფრეზიერი და კასიუს კლეი...

## პატარა ოლივერიც ემზადება

მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძელ ქვეყანაში — გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში საფეხბურთო ციებ-ცხელება დღითი დღე ძლიერდება. მან მოსახლეობის თითქმის ყველა ფენა მოიცვა. სწრაფად ახლოვდება თვით ჩემპიონატის დაწყების დროც. ფეხბურთით საყოველთაო გატაცებას ვერც 2 წლის ოლივერი გადაურჩა. მას მშობლებმა უყიდეს მაისური 1974 წლის ჩემპიონატის ემბლემით. პატარა ოლივერი ბურთის დანახვისთანავე ყვირის: „გოლ!“...



## ველოსპორტი

◆ **პრაღა.** მშვიდობის 27-ე ველორბოლაში მონაწილეობის სურვილი ჯერჯერობით გამოთქვეს ჩეხოსლოვაკიის, პოლონეთის, გდრ-ის, ბელგიის, დიდი ბრიტანეთისა და სსრ კავშირის გუნდებმა. განაცხადების მიღების ვადა გრძელდება.

◆ **მადრიდი.** ესპანეთის № 1 სპორტსმენად დასახელებულია ველოსიპედისტი ლუის ოკანია. როგორც ცნობილია, ნიჭიერმა საგზატკეცილო მრბოლელმა შარშან რამდენიმე საერთაშორისო შეჯიბრება მოიგო, მათ შორის საფრანგეთის ტური.

## ბობსლეი

◆ **ვენა.** ავსტრიის ზამთრის სახეობათა ოლიმპიურ ბანაკში მოეწყო ბობსლეისტთა საერთაშორისო ტურნირი, რომელიც მიზნად ისახავდა ძალთა შემოწმებას მომავალი მსოფლიო ჩემპიონატის წინ. რთული ტრასა ყველაზე უკეთ განვლეს შეჯიბრების მასპინძლებმა—დელეკარტმა და სპერლინგმა.

## ხელბურთი

◆ **გდანსკი.** პოლონეთის ამ ქალაქში გაიმართა ხელბურთელ ქალთა დიდი საერთაშორისო ტურნირი. I ადგილი მოიპოვა ადგილობრივმა „სტარტმა“, რომელმაც ყველა შეხვედრა მოიგო.

# პირველი ტურის შემდეგ

კაუნასსა და კიევში დამთავრდა უმაღლესი ლიგის ხელბურთელ ქალთა საკავშირო ჩემპიონატის I ტური.

გაგაცნობთ მატჩების შედეგებს, რომლებიც ჩვენს გაზეთში არ დაბეჭდილა:

კიევი. II ტური: „ისკოჟი“ (კიშინიოვი) — „ლუჩი“ (მოსკოვი) 11:22, უმაღლესი პოლიტექნიკური ინსტიტუტი (სვერდლოვსკი) — „სპარტაკი“ (კიევი) 12:22; III ტური: „ლუჩი“— უპი 12:11, № 3 სახლმშენებელი კომბინატი (კიევი) — „ისკოჟი“ 17:17; IV ტური: უპი — № 3 სახლმშ. კომბ. 14:15, „სპარტაკი“ — „ლუჩი“ 24:13; V ტური. „ისკოჟი“ — უპი 14:17, № 3 სახლმშ. კომბ. — „სპარტაკი“ 9:22.

კაუნასი. II ტური: სპორტნაწარმის ფაბრიკა (ბაქო) — „პეტროგრადეცი“ (ლენინგრადი) 16:15, „ჟალგირისი“ (კაუნასი) — „ტექნოლოგი“ (მინსკი) 15:12; III ტური: „ოსვიტა“ (ჩერკასი) — სპორტნაწ. ფაბრ. 18:17, „პეტროგრადეცი“—„ჟალგირისი“ 11:18; IV ტური: „ტექნოლოგი“ — „პეტროგრადეცი“ 15:13, „ჟალგირისი“ — „ოსვიტა“ 16:12; V ტური: „ოსვიტა“ — „ტექნოლოგი“ 20:15, სპორტნაწ. ფაბრ. — „ჟალგირისი“ 16:15.

გაგაცნობთ გათამაშების ცხრილებს 5 ტურის შემდეგ.

### კაუნასი

| | მ. | ფ. | წ. | ბ.შ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| სპორტნაწ. ფაბრ. | 3 | 0 | 1 | 71:67 | 6 |
| „ჟალგირისი“ | 3 | 0 | 1 | 64:51 | 6 |
| „ოსვიტა“ | 2 | 1 | 1 | 62:60 | 5 |
| „ტექნოლოგი“ | 1 | 0 | 3 | 61:70 | 2 |
| „პეტროვრადეცი“ | 1 | 0 | 3 | 51:61 | 2 |

### კიევი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| „სპარტაკი“ | 4 | 0 | 0 | 96:47 | 8 |
| „ლუჩი“ | 3 | 0 | 1 | 60:57 | 6 |
| № 3 სახლმშ. კომბ. | 1 | 1 | 2 | 52:66 | 3 |
| უპი | 1 | 0 | 3 | 54:64 | 2 |
| „ისკოჟი“ | 0 | 1 | 3 | 55:83 | 1 |

● **ბუდაპეშტი, 23 იანვარი.** აქ დამთავრდა უნგრეთის ძალოსანთა ჩემპიონატი, რომელიც არ გამოირჩეოდა რეკორდების სიუხვით. ერთადერთი ეროვნული რეკორდი დაამყარა მძიმე წონაში გამარჯვებულმა ი. განზლიკმა, რომელმაც ორჭიდში 357,5 კგ დააგროვა. წონითი კატეგორიების მიხედვით ჩემპიონები გახდნენ: დ. კესეგი — 220 კგ, ი. ფიოლდი — 240, ი. ბენედეკი — 262,5, ი. აჩბროზი — 292,5, ა. შტარკი — 310, დ. ხორვატი — 320, დ. რეხუში — 337,5, ი. განზლიკი — 357,5, ლ. ხუდიკი — 345.

● **მოსკოვი, 25 იანვარი.** გუშინ აქ დამთავრდა სსრ კავშირის თასის გათამაშება პნევმატური იარაღით შეჯიბრებაში. პისტოლეტის სროლაში ყველას აჯობა ზაპოროჟიელმა ი. ბიკმა — 386 ქულა. ქალებში უძლიერესი იყო ო. ბარსუკოვა (მოსკოვის ოლქი)—384. შაშხანის სროლაში იმარჯვა ტაშკენტელმა ს. რიბჩენკომ—390. ქალებში ტოლი არ ჰყავდა სსრ კავშირის მრავალგზის ჩემპიონს, რიგელ ბ. ზარინიას.

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა.

რედაქციის მისამართი: 380096 თბილისი. ლენინის ქ. 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.

ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50, რედაქტორის მოადგილე — 93-97-57 პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52. მასობრივ-ფიზკულტურული და მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის განყოფილებები — 93-97-55. სპორტული განყოფილება — 99-56-47 93-97-53. ფეხბურთის განყოფილება—99-81-71 93-97-56. ჭადრაკის განყოფილება—93-97-51 წერილების განყოფილება — 93-97-54, მემანქანეთა ბიურო — 93-97-59, ფოტოლაბორატორია— 93-97-58. გამომშვები—93-93-81 კორექტორები — 93-97-49.